№ 243 | 1877—1897 | № 243

კვირა, 23 ნოემბერი, 1897 წ. | კვირა, 23 ნოემბერი, 1897 წ.

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

**კონსტანტინე დიმიტრის ძე ბაქრაძე და ეკატერინე დიმიტრის ასული ანასტასიდი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა ქ. ქუთაისს საყვარელის მამისას,

## დიმიტრი ივანეს ძის ბაქრაძისას.

გარდაცვალებულის გვამი დაკრძალულ იქნება დღეს, კვირას, 23 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზედ.

(1—6.—1)

## ქართული თეატრი

კვირას, 23 ნოემბერს,

ქართულის დრამატიულის დასისაგან **მ. მ. საფაროვ-აბაშიძის** მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

I

## ციმბირელი

კომედია 4 მოქ. თხზ. ა. ცაგარლისა.

II

## გულმა იგრძნო

დრამატიული ეტიუდი 1 მოქმედ. თარგმ. მ. მ. საფაროვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, რჩეულოვისა, გარელი; ბ-ნნი აბაშიძე, გამყრელიძე, სვიმონიძე, შათირიშვილი, კანდელაკი, მჭედლიშვილი, ადამიძე და სხვანი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი კ. მესხი

მოკლე ხანში იქნება ბენეფისი კ. ა. აბაშიძისა.

**პირველი კერძო სამკურნალო**
**ექიმის ნავასარდიანისა**
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. შ. კარაშეტიანცი.** $1-1\frac{1}{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით $1\frac{1}{2}-2\frac{1}{2}$ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. ბუდინოვი.** 6—7 საათ. შინაგან, ბავშვებისა და ნერვიბისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(წ)

ტფილისი, 22 ნოემბერი

„Новое Время" თავისას არ იშლის: დაუჟინია, თუ გინდათ ავაზაკობა ამოჰკვეთოთ იმიერ-კავკასიაში, იქაურები სულ გამოყარეთ პოლიციის სამსახურიდამაო. „ნეტარ არიან მორწმუნენი" და ნეტარ იყოს თვით „Новое Время"-ც, რომელსაც ამისთანა ადვილი და უებარი წამალი სცოდნია თვისდა სასახელოდ. „Новое Время" არა სჯერდება ამის ქადაგებას თავისის საკუთარის სახელით და დასჭირებია სხვის მიერ მოწმობაცა, უსათუოდ უფრო დიდის ავტორიტეტის და მცოდნე კაცისა. ამისთანა ძლიერ მოწამედ გამოსჩენია ბ-ნი კ. ბლუმერი, რომლის წერილი დაბეჭდილია „Новое Время"-ს № 7803-ში ამ ხმა-მაღალ სათაურით: „О разбояхъ на Кавказѣ".

ბ-ნი ბლუმერი უფრო ხერხიანად მოქცეულა ამ საქმეში. რომ უცაბედად ნათქვამობა არ შესწამონ მისს წერილს, ბ-ნი ბლუმერი ჯერ იმასა სცდილობს დააჯეროს მკითხველი, რომ მე ამ საქმეში გაწაფული, გაჩარხული კაცი ვარო, ყოველივე შიგნითი ტიკი კავკასიაში ავაზაკობისა კარგად ვიციო, მისი ალიან-ჩალიანი კარგად შეტყობილი მაქვსო და სხვანი და სხვანი. ამისი უტყუარი საბუთებიც მოჰყავს. მაგალითებრ, იგი გვიამბობს, რომ $7\frac{1}{2}$ წელიწადი სპარსეთში ვემსახურებოდი და იქ შემხვედრია ზოგიერთნი კავკასიის ავაზაკნი, თვით სახელ-გათქმული ქარიმაც-კი გავიცანიო. გვიამბობს, რომ დიდ პატივშია ქარიმა სპარსეთში, დიდის ამალით დასეირნობს და ღენერლის ხარისხს იჩემებსო. ერთხელ ქარიმამ მთელის ამალით გამაცილა თავაზიანად და ცოტა მანძილი რომ გავიარეთ, თავაზიანადვე გამომეთხოვაო. ბევრი რამ მიამბო ქერიმამ თავისი თავ-გადასავალი კავკასიაში და სხვათა შორის მიამბრა ერთი ამბავიო. ერთხელაო, უთქვამს ქარიმას, ყაზახებმა ერთს ადგილას მომამწყვდიესო, მე გავუძვერ ხელიდამ და ერთის ბოქაულის სახლს მივატანეო. კარებში იარაღი ავიყარეო და თამამად და უშიშრად სტუმრად ვეწვიე ბოქაულსაო. ბოქაულმა ვერ გაჰბედა დაჭერა ქარიმასი, რადგანაც ამით ულალატებდა ჩვეულებას აღმოსავლეთის ხალხისას, რომელსაც სტუმარი ხელ შეუხებელ კაცად მიაჩნიაო, უმატებს თვითონ ბ-ნი ბლუმერი.

რამოდენად დასაჯერია ეს დაუჯერებელი და უცნაური ამბავი—ეგ ბ ნმა ბლუმერმა და „Новое Время"-მ ჩვენზე კარგად უნდა იცოდეს და თუ მართალია, მართლა რომ დიდი ბოლაზი უპოვნია ბ-ნ ბლუმერს ავაზაკობის საქმის ცოდნისა ჩვენში, თუ თქვენც იტყვით, მკითხველო, და მოდით და ამის შემდეგ ნუ იტყვით, რომ ბ-ნი ბლუმერი ზედ-მიწევნილი მცოდნეა აქაურ ავაზაკობისა. თუმცა მარტო ეს ამბავიც საკმაოდ გვარწმუნებს ჩვენ, რომ ბ-ნი ბლუმერი შიგ გულ ღვიძლში ჩასწვდენია ჩვენებურ ავაზაკობას, მაგრამ უფრო მეტის დარწმუნებისათვის სხვა ამბავიც მოჰყავს, რომელიც არა ნაკლებ პირველ ამბავზე გვამცნევს, რომ ბ-ნ ბლუმერს ჰა სიბრძნისა ავაზაკობის შესახებ სრულად ამოუწურავს.

იგი გვიამბობს, რომ ჩემ დროსაო სპარსეთის ჯარში განწესდა ვიღაც მირზა კ—ევიო. ეს ვიღაც მირზა წინად კავკასიაში მსახურებდა ბოქაულად, თუ ბოქაულის თანაშემწედ, დაბადებულა და მთელი თავისი სიცოცხლე რუსეთში გაუტარებიაო. ამისდა მიუხედავად, იგი მუსლემანის ცხარე ფანატიკოსად დარჩაო. მე რომ სპარსეთიდამ წამოვედიო, სამ წელიწადს შემდეგ იგი მირზა გარდაიცვალაო. ერთხელ როგორღაც სასაუბროდ შევხვდიო, ლაპარაკი კავკასიაში ავაზაკობის შესახებ დავიწყეთო და მე ვუთხარიო: პოლიცია

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

ნარგიზის ცრემლით ნაბანო,
იავ, საამო სულისავ,
ბროლ-ლალო და ვარდ-გიშერო,
შარბათო სიყვარულისავ,
რად მტანჯავ, გულის ნანდომო,
მალამოვ ყველა წყლულისავ,
და რად მაწყურებ სიკვდილსა,
დიადო მზეო გულისავ!

დ. მაჩხანელი

### ორიოდე სიტყვა ქართველ-კათოლიკეთა შესახებ.

რამდენადაც თვალ-ყური გვიდევნებია და შეგვიმჩნევია, ქართველი კათოლიკეები ტიბიკონის ანუ ღვთის მსახურების აღსრულების წეს-რიგისა დაგვარად განიყოფებიან სამ ნაწილად, ანუ სამ ჯგუფად: ა) პირველ ნაწილს ეკუთვნიან ის ქართველი-კათოლიკენი, რომელთაც მიუღიათ როგორც დოღმატები, ისე გარეგანი სალვთის-მსახურო წესები და ენა ლათინთა ეკკლესიისა. ამას თვით ქართველი-კათოლიკენი უწოდებენ „ლათინურს ტიბიკონს", ანუ „ლათინურს რიგს", რადგანაც ყოველივე წესი იმათს ეკკლესიებში სრულდება ისე, როგორც რომის ანუ ლათინთა ეკკლესიაში. ამ ტიბიკონისაა, მაგალითად, ახალციხის ძველს ნაწილში ქართველ კათოლიკეთა ღვთის-მშობლის ეკკლესია, რომელსაც ხალხი ეძახის „პატრებიანთ ეკკლესიას". აქ ღვთის-მსახურება სრულდება ლათინურს ენაზედ, არღანით; ეკკლესიის შინაგანი მოწყობილებაც იმ გვარია, როგორც საზოგადოდ ლათინთა ეკკლესიაში. ამ ეკკლესიასთან უკანასკნელს დროებში უცხოვრიათ შემდეგ რომის პატრებს: ბონავენთურას (შვეიცარიელი), პატრ თომას (თემფიელი), ფრანცისკეს, ამედიოს, პატრ ნიკოლას, დამიანეს (ვიარეჯიელი), ფლორენციოს და ქეროვიმეს. ყველანი კაპუცინები ყოფილან. პატრი თომა აქვეა დასაფლავებული. მისს საფლავის ქვაზედ შემდეგი მხედრული წარწერაა: „ქნთ წელსა უფლისასა 1838-სა ივნისის 7-სა მოიხსენეთ პატრი თომა თემფიელი ქაფუჩინი". ამ პატრების საცხოვრებლად ეკკლესიასთან ყოფილა გამართული დიდი ორ სართულიანი სახლი, რომელიც დაუწვავთ აჭარლებს ახალციხეში შემოსევის დროს 1829 წ. მისს ადგილზედ გამართულია ეხლა სხვა სახლი, რომელშიაც სცხოვრობს ადგილობრივი ღრმად მოხუცებული მღვდელი პეტრე ალუშოვი. ეს მღვდელი მომსწრე ყოფილა რომის პატრებისა. მისის სიტყვით, ეს პატრები კარგად ყოფილან დახელოვნებულნი მკურნალობაში, განსაკუთრებით პატრი თომა, ჰქონიათ აფთიაქი და ხალხს თურმე მუქთად სწამლობდნენ.

ბ) მეორე ჯგუფს შეადგენენ ის ქართველი-კათოლიკენი, რომელთაც დასავლეთის ეკკლესიისაგან მიუღიათ მხოლოდ დოღმატები, საეკკლესიო-სალვთისმსახურებო წესები-კი მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა შერჩენიათ. ამას უწოდებენ „ქართულ რიგს". ამ რიგის ქართველი-კათოლიკეები საქართველოში, ვგონებ, აღარ უნდა იყვნენ, კონსტანტინეპოლში-კი, როგორც გამიგონია, ყოფილან. იქაურ ქართველ-კათოლიკეთა ეკკლესიებში ღვთის მსახურება სრულდება თურმე ისე, როგორც ჩვენს მართლ-მადიდებელს ეკკლესიაში, ქართულს ენაზედ, მხოლოდ სწამთ პაპი და აღიარებენ რომის ეკკლესიის დოღმატებს. იმათი კონდაკი, დაბეჭდილი ხუცურს ენაზედ, გვინახავს. იგი განირჩევა ჩვენს კონდაკს მხოლოდ იმითი, რომ შიგ მოხსენებულია პაპი, წირვა-ლოცვის წესი ორივეში ერთნაირია. როგორც გამიგონია, ახალციხის ქართველი კათოლიკეებიც (მაგალითად ჯვარის ეკკლესიისა და იოანე ნათლის მცემლის მრევლი) პირველად ქართულ ტიბიკონზედ ყოფილან: ჰქონიათ ყველა საჭირო წიგნები ქართულს ენაზედ და უსრულებიათ ღვთის-მსახურება და ყოველივე საეკკლესიო წესები ისე, როგორც ჩვენს ეკკლესიაში. შემდეგში ამათ მიუღიათ სომხური ტიბიკონი (წესები სომხის ეკკლესიისა) და, რასაკვირველია, წინანდელი ქართული წიგნები, შედგენილი ქართულს ტიბიკონზედ, აღარ გამოადგებოდათ, სომხურს წიგნებს კიდევ, შედგენილს სომხის ეკკლესიის წეს-რიგზედ, ვერ იხმარებდნენ სომხურის ენის უცოდინარობისა გამო, ამისათვის აუღიათ და სომხური წიგნები უწერიათ ქართულის ასოებით, რომ შესძლებოდათ ამ წიგნებით სომხურს ტიბიკონზედ ღვთის მსახურების აღსრულება. ამითი აიხსნება, რომ ეხლაც ბევრგან მოიპოვება სომხური წიგნები, ქართულის ასოებით დაწერილი (სიტყვები სომხურია, ასოები—ქართული). მართლაც, უეჭველი უნდა იყოს, რომ თავ-და-პირველად ყველა ქართველი-კათოლიკენი ქართულს-მართლ-მადიდებელს ტიბიკონზედ იყვნენ, თვით რომის მისსიონერები ამ გვარად ჰმოქმედებდნენ არამც თუ მარტო ქართველებში, არამედ სხვაგანაც, სადაც-კი შეჰქონდათ თავიანთი სარწმუნოება. ისინი ძალას არავის ატანდნენ, რომ გარეგან საეკკლესიო წესები შეეცვლევინებინათ. იმათთვის საჭირო იყო მხოლოდ ეწამათ პაპი და მიეღოთ რომის ეკკლესიის დოღმატები, დანარჩენში სრულს თავისუფლებას აძლევდნენ. როგორ მოექცნენ, მაგალითად, სომხებს: მათ გარეგანი საეკკლესიო წესები და სალვთის-მსახურებო ენა ისევ სომხური დარჩათ, აგრეთვე ცოლოსანი მღვდლები, მხოლოდ უნდა ეწამათ პაპი და ეღიარებინათ დოღმატები ლათინთა ეკკლესიისა. შემდეგში, რასაკვირველია, თვით წესებიც ნელ-ნელა შეიცვალეს ლათინურზედ (იხ. Графъ Д. Толстой. Римскiй католицизмъ въ Россiи, т. 2., стр. 54). ამითი აიხსნება, რომ ეხლაც სომეხ-კათოლიკეთა და გრიგორიანთა შორის ბევრში ისევ ერთნაირობა მოსჩანს, რადგანაც, სომეხ-კათოლიკეებმა თუმცა მიიღეს დასავლეთის ეკკლესიის წეს-რიგი, მაგრამ ზოგიერთი წესი ისევ გრიგორიანთა ეკკლესიისა შეირჩინეს. ქართველებ-

რად არის ასე ულონო კავკასიაში, რომ აი რვა წელიწადია რაც იბრძვის და ვერას გამხდარა ქარიმასთან, ამ ერთად-ერთს კაცთანაო.

— აი, უპასუხნია ხსენებულ მირზას, საქმე ხომ წასულია, მე რუსეთში აღარ დავბრუნდები, თუმცა არავინ დამიშლისო, რადგანაც იქიდამ გამოქცეული არა ვარო. თქვენ მეკითხებით, ქარიმას რატომ ვერა ავუტეხე რა, მაშ ყური მიგდეთ: როცა ქარიმა მეგულებოდა ერთს სადმე ადგილას, მე სხვა ადგილისაკენ გავქანდებოდი ხოლმე, ის მარჯვნივ წავიდოდა, მე განგებ მარცხნივ გავრბოდი. აბა რად გავცემდი ჩემის რჯულის კაცს და თქვენ სხვა რჯულის კაცს ხელში რად ჩავუგდებდიო. თქვენ ვინა გთხოვათ, რომ მოხვედით და ჩვენი ქვეყანა ძალით დაიჭირეთ. ჩვენ უთქვენოდ უფრო კარგად გვეცხოვრებოდაო“.

კიდევ კარგია, რომ ბ-ნმა ბლუმერმა საიქიოს გაისტუმრა ამისი მთქმელი მირზა, თორემ ბევრი ახირებული კაცია ქვეყანაზე, ვინ იცის, იქნება წასულიყო ვინმე სპარსეთში და მირზასათვის ეკითხნა,—მართლა ამისთანა რამ დაუროშე ბ-ნ ბლუმერსაო.

ამისთანა აბდა-უბდები არა ჰღირდა, რომ ასე ვრცლად ამოგვეწერა, მაგრამ საჭიროა ვიცოდეთ, რა გზით ცნობულობენ აქაურობას ზოგიერთნი პუბლიცისტები „Новое Время“-ს ლილახანისანი და რა ჭკუის საგზალით ეკიდებიან იმისთანა რთულს და მწვავს საჭირ-ბოროტო საქვეყნო საქმეს, როგორიც თუნდ ავაზაკობაა, სხვა რომ არა ვთქვათ-რა.

ახლა იკითხავთ: ბ-ნი ბლუმერი რად გარჯილა, რომ ეს აბდა-უბდა გვიამბო? უსათუოდ ჯერ იმიტომ, რომ გვანიშნოს, აი რა უტყუარის და ჭეშმარიტის გზით შემისწავლია კავკასიის ავაზაკობის საქმე სპარსეთში და მერე იმიტომ, რომ რაკი ასეა, ჩემისთანა მცოდნეს სიზმარიც დაეჯერებაო. რაკი ეს ორივ საქმე შეასრულა, თვისი სიზმარიც გამოგვიცხადა: ყოველ ამის მიხედვითო, მეც ვემოწმები „Новое Время“-ს და თანა ვუგრძნობო, რომ კავკასიის პოლიციას ძირეულად შეცვლა უნდაო. როგორ გგონიათ, რა ძირეულ შეცვლას გვირჩევს? იქნება გეგონოთ, რომ აქ ბ-ნი ბლუმერი მართლადა რაიმე ძირეულს ცვლილებას ჩაჰკიდებს ხელსა, თვით პოლიციის აგებულების კარგსა და ავს განიშნებთ, ან ამ და ან იმ საპოლიციო შინაგან სისტემაზე დაგიწყებთ ლაპარაკსა! ნურას უკაცრაოდ. ყოველ ამას მეტი გარჯა უნდა ჭკუისა და გონებისა, მეტი ცოდნა, ვიდრე იგი, რაც გამოუწურავს ბ-ნ ბლუმერს იმ ორის სასაცილო ამბისაგან, რომელიც გაუგონია ქარიმასა და ვიღაც მირზასაგან.

ბ-ნი ბლუმერი ბევრს არას აცივბს და აცხელებს. იგი მოკლედ სჭრის და ადვილად სცვლის ძირეულად პოლიციას. რაკი ამისთანა ამბები აუგია ბურჯად თავისის აზრისა, ადვილად გაუთვალწინებია წამალიც. იგი ამბობს, —მე მთლად თანავუგრძნობ „Новое Время“-ს, რომ კავკასიის პოლიციაში არც ერთი თანამდებობა არ უნდა მიეცეს არც ერთს იქაურ თესლის კაცსაო და ამ სახით კაცების ცვლა პოლიციის ძირეულად ცვლად დაუსახავს. ვთქვათ, ბ-ნს ბლუმერს მიეტევოს, რომ ჯერ გაურჩევია, რომ ერთია ძირეული ცვლა დაწესებულებისა, როგორიც, მაგალითებრ, პოლიციაა, და სულ სხვაა ერთის კაცის მაგიერ მეორის დაყენება, მაგრამ როგორ უნდა ეპატიოს ასეთი უვიცობა დიდს გაზეთს სატახტო ქალაქისას? ან როგორ უნდა შეენდოს ამისთანა გაზეთს, რომ ქარიმასაგან და ვიღაც მირზასაგან დაროშვილ ამბავისაგან გამოადნოს კანონად დადება აქაურების გამოყრა სამსახურიდამ? მითამდა ამიერ კავკასიის მკვიდრთაგანი თვითეულად ცალკე და ყველანი ერთად ნდობის ღირსნი არ არიან და პატიოსნება და ნამუსი იმათთვის ღმერთს არ გაუჩენია. როგორ იკადრა, რა მართებულებამ მისცა ნება, რომ ასეთი სილა მოუღერა ყოველს აქაურ მკვიდრს საერთოდ და ხელ აღებით ყველას ერთად განურჩევლად შესწამა ორგულობა კანონისა, სამსახურის ფიცის გატეხა, მოვალეობის ღალატი, სინიდისის დახშვა, ნამუსის ახდა და სხვა ამისი მზგავსნი უკადრისნი და შესაჩვენებელნი ბოროტებანი. ესეთი გაუპატიურება მთელის ამიერ-კავკასიისა დიდი თავგასულობაა, სხვა რომ არა ვთქვათ-რა. მერე რა საბუთით? ვიღაც მირზას, სპარსეთში რუსეთიდამ გადახვეწილს, რაღაც წამოუროშავს და დაუჯერებია—მეტი საბუთი-და გნებავთ! ოღონდ დამჯერი იყოს, თორემ ამისთანა საბუთიან საბუთს კაცი დღეში ათასს გამოაცხობს ცხელ ცხელად ისე, რომ ამისათვის სპარსეთშიაც კი წასვლა არ დასჭირდება.

რა თქმა უნდა, ამისთანა ბოროტებანი არც ერთს თესლის ცალკე კაცს ქვეყანაზედ არ დაეფიცება. ავი კაცი ყველგან მოიპოვება კერძოდ. გარნა საერთოდ მთელის ერის მოხვეტა და ერთს ამისთანა მაფრაშში მოქცევა, ცოტა არ იყოს, საგიჟეთის მომასწავებელია. თუ ამისთანა საქციელი ეპატიება ბ ნ ბლუმერს, რომელსაც კავკასიის ავაზაკობა სპარსეთში უკვლევია, სამარცხვინოა იმისთანა კაცთათვის, რომელნიც ჰჩემულობენ ქვეყნის წრთვნასა ბეჭდურ სიტყვითა და მოძღვრებითა. ბეჭდურ სიტყვის ასეთი გაფუქსავატება და გაცუღლუტება თავისთავად დიდი დანაშაულია.

---

# ახალი ამბავი

*** ქალაქის საბჭოს აზრადა აქვს ამ ახლო მომავალში ერთ-ერთს კრებაზედ განიხილოს გამგეობის მოხსენება ჩუმად საქონლის დაკვლის შესახებ, რომელიც ქალაქის კასსას ბევრს ზარალს აძლევს. გამგეობის აზრით, ჩუმად საქონლის კვლა მაშინ იქმნება მოსპობილი, როდესაც საყასბოზედ დაკლულ საქონლის ხორცზედ ნიშანის დასმას შემოიღებენ. ეს საშუალება იმითიც არის კარგი, რომ ავადმყოფის საქონლის ხორცს აღარავინ გაჰყიდის. საბჭომ ეს საგანი წინადაც განიხილა, მაგრამ უარჰყო, რადგანაც იმის განხორციელებას დიდი ხარჯი, სახელდობრ, 14,000 მან., სჭირდებოდა. ხოლო ამ ჟამად გამგეობა იმ აზრისაა, რომ რადგანაც საყასბო გაცილებით უკეთ არის მოწყობილი, ვიდრე წინად იყო, ამ საქმეს იმდენი ფული აღარ დასჭირდება, რამდენიც წინად იყო გამოანგარიშებული.

*** მეურნეობის მინისტრის რწმუნებული ბ-ნი მედვედევი გორის მაზრაში აპირებს წასვლას ოძისის მამულის დასათვალიერებლად, რომელიც თავ. ერისთავმა სამინისტროს აჩუქა იმ პირობით, რომ იქ სასოფლო-სამეურნეო სკოლა იქმნას დაარსებული.

*** უმაღლესად ნება-დაერთო მიღებულ იქმნან საიუნკრო სასწავლებელში მე-2 ხარისხის თავისის ნებით ჯარში გამწესებულნი (вольно-опредѣляющійся), რომელნიც თუმცა უნტერ-აფიცრები არ არიან, მაგრამ ღირსნი კი არიან ამ ხარისხისა.

*** ქალაქის მე-10 ნაწილში ხელ-ახლად გაჩნდა საქონლის ჭირი.

*** ფინანსთა სამინისტროს საბაჟო კომიტეტმა უკვე დაადგინა დაუკლოს ბაქოდგან ბათუმამდის ამიერ-კავკასიის რკინის გზით ნავთის გადატანის ფასსა, 19 კაპეიკის მაგიერ, როგორც აქამდის იყო ხოლმე, 12 კაპეიკი იქმნა დადგენილი. დრო, რომლიდგანაც უნდა შემოღებულ იქმნას ეს ახალი წესი, ჯერ დადგენილი არ არის.

*** საგუბერნიო სამმართველომ გადსცა გორის გამომძიებელს საყურადღებო საქმე გორის მაზრის სოფ. რუისის მამასახლისად ნამყოფის აზნაურიშვილის გიორგი მამაცაშვილისა, რომელსაც ჰბრალდება, რომ გლეხებს გარდამეტებულს გარდასახადს ახდევინებდა, ამ ფულს წიგნში არა სწერდა და არავინ იცის, რაუყო ამ ფულსა. გარდა ამისა იმავე მამაცაშვილს ჰბრალდება, რომ გლეხებისაგან აღებულ ჯარიმის ფულსა და სხვა-და-სხვა გარდასახადის ფულს არსადა არა სწერდა და ამ ფულით სარგებლობდა. აგრედვე დაუბრუნა ალექსი კაპანაძეს 62 მან. 92 კაპ. გარდასახადის ფული, ვითომ იმიტომ, რომ კაპანაძე სასულიერო წოდებას ეკუთვნის, თუმცა ამისი ნება-რთვა არა ჰქონია მთავრობისაგან. მამაცაშვილს კიდევ ის ბრალი ედება, რომ 1493 მანათი გარდასახადის ფული და 114 მანათი სკოლისა, სადაც ჯერ არს, 2—3 თვის შემდეგ წარადგინა; ახდევინებდა სოფლის საზოგადოების ნება-დაურთველად თითო კომლს თითო ჩანახს ხორბალსა და ამბობდა, ჩემს თანაშემწეს უნდა მივცეო. გაჰყიდა ეს ხორბალი 147 მ. 30 კაპ. ამ ფულიდგან 100 მანათი თითონ აიღო და 47 მან. 30 კაპ, როგორც თითონ ამბობს, გარდასახადის ფულს დაუმატა. მამაცაშვილთან ერთად ბრალი ედება აგრედვე იმისს მწერალს ინაშვილს, რომელმაც მიითვისა სოფლის ფული 174 მ. 57 კაპ.

*** რადგანაც საქონლის ჭირი გორის მაზრაში თან-და-თან უფრო ვრცელდება, ბეითალმა კრიდნერმა მიჰმართა გუბერნატორს და სთხოვა, რომ გორის მაზრაში, იმ რვა ბეითალის გარდა, რომელიც ამ ჟამად იქ არის, სხვებიც გაიგზავნოს და კიდევ მეტი ფული გადასდეთ დახოცილ საქონლის პატრონთა დასაჯილდოებლადაო.

*** გაზ. „კავკაზის“ სიტყვით, კავკასიის უმაღლეს მთავრობას აზრადა აქვს კავკასიაში სადგურებზედ გაწერილი სახელმწიფო გარდასახადი დააწესოს. რუსეთის შიდა გუბერნიე-

---

შიაც სწორედ ასე მოხდა: იმათ პირველად იწამეს პაპი და მიიღეს რომის ეკკლესიის დოღმატები, მხოლოდ საეკკლესიო წესები ისევ ქართული — მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა დარჩათ. შემდეგში-კი დოღმატებთან ერთად საეკკლესიო წესები და საღვთის-მსახურებო ენაც შეიცვალეს, თუმცა-კი ზოგიერთი წესი ისევ მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა აქვთ შერჩენილი. მაგალითად, ახალციხის ზოგიერთნი მოხუცებული ქართველი-კათოლიკენი, როგორც გამიგონია, თავიანთ მარხვებისა გარდა, მართლ-მადიდებელ ქართველთა ზოგიერთ მარხვასაც ინახავენ. ქართველ-კათოლიკეთაგან ზოგმა ლათინურს ტიბიკონზე შეიცვალა თავისი საეკკლესიო წეს-რიგი (ამ ლათინურის ტიბიკონის ქართველ-კათოლიკეების შესახებ ზემოდ მოვიხსენიეთ) და ზოგმაც—სომხურზედ (სომხის კათოლიკეთა წესები შემოიღეს).

გ.) აი, ამ სომხურ ტიბიკონის ქართველი-კათოლიკენი შეადგენენ მესამე ჯგუფს. საკითხავი ეხლა ის არის, თუ რანაირად გადავიდნენ ქართველი-კათოლიკენი სომხურს ტიბიკონზედ? ამის შესახებ თვით ქართველ-კათოლიკეთაგან გაგვიგონია შემდეგი: 1625 წლიდგან მთელი ძველი სამესხეთო ანუ ეხლანდელი ჭოროხის ხეობა და მტკვრის სათავე ოსმალეთმა დაიპყრო და 1828 წლამდე აქ ჰბატონობდა. ამ ხნის განმავლობაში მართლ-მადიდებლობა და მართლ-მადიდებელი მესხები დიდს განსაცდელში იყვნენ. ოსმალები ძალას ატანდნენ მართლ-მადიდებელ ქრისტიანებს, რომ მაჰმადიანობა მიეღოთ. რადგანაც მაშინ ქართველი-კათოლიკენი ქართულს-მართლმადიდებელს ტიბიკონზედ იყვნენ და გარეგანის საეკკლესიო წესებით არ განირჩეოდნენ მართლ-მადიდებელთაგან, ამისათვის იმათაც დაუწყეს დევნა. მაშინ ქართველ-კათოლიკებმა შემწეობისათვის მიჰმართეს რომის პაპს. რომის პაპმა მიასწავლა ანატოლიის სომეხ-კათოლიკეთა ეპისკოპოსისკენ (ალბად ამას თუ ექვემდებარებოდნენ ახალციხის კათოლიკენი), ამ უკანასკნელმა წინადადება მისცა ახალციხის ქართველ-კათოლიკეებს, მიეღოთ თავიანთ ეკკლესიაში სომხური ენა და წესები. იმ დროს თურმე სხვა სარწმუნოების ხალხს ისე არ ავიწროებდნენ ოსმალები, როგორც მართლ-მადიდებლებს. იმათაც, რასაკვირველია, ჯერ ენა შეიცვალეს და შემდეგ საეკკლესიო წესებიც. მაგრამ, რამდენადაც გაგვიგია, ქართული ენა მაინც კიდევ სრულიად არა ყოფილა განდევნილი ქართველ-კათოლიკეთა ეკკლესიებიდგან. ამ ბოლოს დრომდის მღვდლებს კიდევ შეეძლოთ ქართულად ქადაგების თქმა და ზოგიერთის ლოცვების ქართულს ენაზედ აღსრულება.

მაგრამ ბედმა უმტყუნა ქართველ-კათოლიკეებს. ამ რამდენისამე წლის წინიდ სომხის სამღვდელოებამ ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ ქვეყანაზედ ქართველი-კათოლიკეები არ არიანო, რომ ის კათოლიკეები, რომელნიც თავიანთ თავს ქართველებად აღიარებენ, ქართველები-კი არა, სომხები არიანო, ამისათვის ნება არა აქვთ ქართულს ენაზედ ღვთისმსახურება აღასრულონო. ამ საქმის მოთავედ, როგორც გამიგია, ყოფილა მღვდელი არარატიანი, მამით სომეხი და დედით ქართველი. მღვლად ყოფილა გუმბრში, მხოლოდ ახალციხის სომეხ-კათოლიკეთა სასულიერო სამმართველოს წევრად ითვლებოდა. სომეხთ საჩივარმა მიაღწია მთავრობამდის. მთავრობისაგან დანიშნულ იქმნა გამომძიებლად ვიღაც იგნატიევი, რომელსაც უნდა გამოეძიებინა, ახალციხესა და ახალციხის მხარეში მართლა ქართველი-კათოლიკეები არიან, თუ არა. შედეგი ამ გამოძიებისა იყო ის, რომ 1886 წ., იანვრის 16-ს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც აღიკრძალა ქართულის ენის ხმარება სომეხ-კათოლიკეთა (ამათში ათავსებენ ქართველ-კათოლიკეებსაც) და ლათინთა ეკკლესიებში, და აგრეთვე კათოლიკეთა ორად განაწილება—სომხებად და ქართველებად, (როგორც სჩანს, მთავრობის აზრითაც მხოლოდ სომეხ-კათოლიკენი არსებობენ).

მაგრამ არც ამის შემდეგ მოსპობილა სრულიად ქართულის ენის ხმარება ქართველ კათოლიკეთა ეკკლესიებში. ამის გამო, როგორც სჩანს, კიდევ გაუგზავნიათ საჩივარი (ალბად ისევ სომხის სამღვდელოებას) შინაგან საქმეთა მინისტრთან, რადგანაც ტირასპოლის ეპისკოპოსი (სცხოვრობს სარატოვში; სარატოვის ეპარქიაზედ არიან მიწერილნი კავკასიის კათოლიკენიც) სწერს კავკასიის სომეხ-კათოლიკეთა სამმართველოს 1892 წლის სექტემბრის 5-ის რიცხვით, № 491, შემდეგს: „შინაგან საქმეთა მინისტრი მატყობინებს მე, რომ სამინისტროში მოსულა ცნობები, ვითომც ტფილისის რომის-კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიაში, 1886 წლის 16 იანვრის უმაღლესის ბრძანების წინააღმდეგ ღვთის-მსახურებას აღასრულებდნენ ქართულს ენაზედ. რადგანაც უმაღლესი ბრძანება შეეხება არა მარტო ზოგიერთს ნაწილს ღვთის-მსახურებისას, არამედ მთელს ღვთის-მსახურებას, ამისათვის მინისტრი მთხოვს მივიღო ღონისძიებანი, რომ ჩემდა რწმუნებულს ეკკლესიებში ქართული ენა არ იხმარებოდეს. ძველადგანვე დასავლეთს ეკკლესიაში ჩვეულებათაა, სწერს ტირასპოლის ეპისკოპოსი, რომ ღვთის-მსახურება ლათინურს ენაზედ სწარმოებდეს, მხოლოდ აღმოსავლეთის სომხის ეკკლესიაში—მარტო სომხურ-საეკკლესიო ენაზედ. ამის და მიუხედავად, კავკასიაში როგორც ლათინთა, ისე სომეხთ ეკკლესიებში შემოვიდა ჩვეულებად, საეკკლესიო ენის გარდა საშობლო ენის ხმარება. ეს-კი ეწინააღმდეგება ტრიდენტის კრების და პაპების კლემენტოს XI და პიოს XI დადგენილებათ. ამისათვის ვთხოვ სასულიერო სამმართველოს, დაავალოს სამღვდელოებას, რომ ამ გვარი ბოროტ-მოქმედება აღარ იქმნას შეტანილ ეკკლესიებში“. (ე. ი. საშობლო ენაზედ აღარა სრულდებოდეს ღვთის-მსახურებაო).

აი, ამ გვარად მოისპო ქართულის ენის ხმარება ქართველ-კათოლიკეთა ეკკლესიებში და გავრცელდა ის აზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ქალაქებში დიდი ხანია ეს გადასახადი შემოღებულია, მაგრამ ყველგან ერთნაირად არ არის გაწერილი. იმ ქალაქებში, სადაც მცხოვრებელთა სივიწროვეა და სადაც სადგომები ძვირია, გარდასახადი უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვაგან. მთავრობას აზრადა აქვს ეს გარდასახადი კავკასიაში სხვა წესით შემოიღოს, სახელდობრ მოუწყობელ ქალაქის მკვიდრნი, როგორც, მაგალითად, ოზურგეთია, სრულიად განათავისუფლოს ამ გარდასახადასაგან.

⁂ „მშაკის" მე-137 №-ში დაბეჭდილია ფელეტონი „ქართველ კათოლიკეთა" შესახებ. წერილის დამწერი სცდილობს დაარღვიოს იზაშვილის აზრი. ფელეტონი ჯერ დამთავრებული არ არის. როცა დამთავრდება, მაშინ ქართულად ვსთარგმნით და გავაცნობთ მკითხველებს.

⁂ ქ. ქუთაისი. თავადის ასულის მ. ს. მაჩაბლის საჩივრისა გამო დანიშნულ იქმნა სათავად-აზნაურო ბანკის საქმეების განხილვა თავ. ნ. და გ. მაჩაბლის მამულების გასყიდვის შესახებ. ამ საქმეების გამორკვევა მინდობილი ჰქონდა სამინისტროსაგან სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკის დონის განყოფილების მმართველს ბ-ნ ლიტვინოვს, რომელმაც ყოველივე საქმის გარემოება აცნობა სამინისტროს. ამ დღეებში ქუთაისის სათავად აზნაურო ბანკის ზედამხედველს კომიტეტს ცნობა მოუვიდა მინისტრისაგან, რომ მ. ს. მაჩაბლის საჩივარი უყურადღებოდ იქმნა დატოვებულიო. („ახ. მიმ.")

⁂ 22 ნოემბერს, მელიქ-ბეგლიაროვის სახლში დაბინავებულ ოსმალეთიდგან გადმოხვეწილ სომეხთა შორის ერთი სომეხი კიდევ ავად გახდა შავი სახადით.

⁂ გაზ. „Кав. С. Х."-ს სიტყვით ყარაიაზისა, განჯისა, გეოქჩაისა და ქუთაისის სამაგალითო მინდვრებზედ 400 ფუთამდის ბამბა მოუყვანიათ. საუკეთესო მოსავალი ყარაიაზის მინდორში ერთ დესეტინაზედ 100 ფუთამდის ბამბა მისულა და ქუთაისისაში კი $^3/_4$ დესეტინაზედ 60 ფუთი. საუკეთესო ღირსების ბამბა გეოგჩაიში მოუგროვებიათ. მინდვრების გამგე აგრონომს ნ. ჰ. ტარატინოვს განზრახვა აქვს ფუთი გასუფთავებული ბამბისა 8 მანეთზედ ნაკლებ არ გაჰყიდოს. ამ ჟამად ქ. ერევანის ბამბის მწარმოებელნი ფუთს ბამბას 7 მ. 20 კაპ. ჰყიდიან თურმე.

⁂ გაზ. „კავკაზი" სწერს: „ამას წინად ჩვენ ნამდვილის წყაროებიდგან შევიტყეთ შემდეგი ფაქტები, რომელნიც ნათლად გვიხატავს, თუ ოსმალეთიდგან გადმოხვეწილი სომხები როგორ იქცევიან და საერთოდ რა თვალით უყურებენ თავიანთ მდგომარეობას. ამას წინად გოლდლიუსტის წუმწუმის მკეთებელ ქარხანას მუშები დასჭირდა. ქარხნის მმართველთ გადმოხვეწილ სომხების ერთ გულშემატკივარს მიჰმართეს და სთხოვეს რამდენიმე კაცი გამოგზავნეთ და ქარხანაში სამუშაოს მივცემთო. ფასს ოჯახზედ 1 მან. 50 კ. დაჰპირდნენ. ეს ფასი თვეში 45 მანეთს შეადგენს და ამდენს კანცელარიის ბევრი მოხელეც-კი არ იღებს, რომელიც მთელს ოჯახს ინახავს და გარდა ამისა ვალდებულიც არის უფრო კარგი და სუფთა ტანისამოსი ჩაიცვას, ვიდრე მუშებს აცვიათ ხოლმე. ამისდა მიუხედავად, იმ 27 სომეხთაგან, რომელთაც მუშაობაზედ თანხმობა განაცხადეს, მხოლოდ ორმა იკისრა საქმე, დანარჩენთ-კი თავ-შესაფარშივე დაბრუნება არჩიეს. ჩვენ შევიტყეთ, რომ იმ გარდახვეწილთ, რომელთაც მუშაობაზედ ხელი აიღეს, დათხოვნას უპირებენ თავ-შესაფარიდგან, რომლის დანიშნულებაც ის არის, რომ მართლა გაჭირვებულთ დაეხმაროს და არა მუქთა მჭამლობას მოუმართოს ხელი".

⁂ დღეს, 23 ნოემბერს, კრება ექმნება თავად-აზნაურთა კომისიას ტფილისის გუბერნიაში საერობო დაწესებულების შემოღების შესახებ მოსალაპარაკებლად.

⁂ გზათა სამინისტრო შუამდგომლობს, რომ ამიერ-კავკასიაში 1898 წელს ახალ გზების გასაყვანად გადადებულ იქმნას 2 მილ. მან. სხვათა შორის გაყვანილი უნდა იქმნას გზები ნოვოროსიისკიდგან ახალ-ათონამდე, რომელსაც 600 ათას. მან. დასჭირდება; ბათუმიდგან არდაგანამდე—200 ათას მან; ავარო-კახეთის გზა—200 ათას მან., ბათუმიდგან ოზურგეთამდე და სუხუმიდგან ზუგდიდამდე გასაყვან და შესაკეთებელ გზას დასჭირდება 500 ათას. მან. (Н. Об.).

# სახელდახელო

(ყბად-ასაღები—წყალ-წასაღები ამბავი)

ბათუმში წარმოდგენილ სახპეტოვის ფქვილის ტრაგი-კომედია ხომ გახსოვთ, მკითხველო?! ამ ამბის შესახებ გუშინ, 22 ნოემბერს, შემდეგი წერილი მივიღე ბათუმიდგან ჩემს სახელობაზედ:

## ღია წერილი

ტფილისელ ჩიორას.

მესამე მოქმედება იმ ტრაგი-კომედიისა, რომელიც თქვენ ამას წინად გვიამბეთ ბათუმელ ვაჭრის ბ-ნ სახპეტოვის ფქვილისა და პურის შესახებ, გუშინ, 17 ნოემბერს, უკვე დაიწყო აქაურს მომრიგებელ-სასამართლოში და დასრულდა კიდეც. სახპეტოვი მოსამართლემ განმეორებით დამნაშავედ იცნო და ისევ სამი თვე დატუსაღება მიუსაჯა... მაგრამ რად გავრბივარ წინ? არა სჯობია დალაგებით გიამბოთ „ესე ამბავნი საარაკონი"?!.

ეს საქმე მეორედ ირჩევა სასამართლოში: პირველად ამ ორის, თუ სამის კვირის წინად გაირჩა, მაგრამ მაშინ ბ-ნი სახპეტოვი არ გამოცხადდა და, რადგან მოწმეთა ჩვენებიდგან აღმოჩნდა სრული მისი დამნაშავეობა—უვარგისის ფქვილისაგან უვარგისის პურის გამოცხობა, მოსამართლემ დაუსწრებელი განაჩენი დაადგინა, რომლითაც უძლიერესი სასჯელი, ე. ი. სამის თვით დაპატიმრება მიუსაჯა. რაღა ლაპარაკი უნდა, ბ-ნმა სახპეტოვმა საჩივარი შეიტანა ისევ მომრიგებელ-მოსამართლესთან, რომლითაც თხოულობდა ხელმეორედ საქმის გარჩევას. — როგორც მოგახსენეთ ეს ხელ-მეორედ საქმის გარჩევა იყო დანიშნული 17-ს ნოემბერს, —ბ-ნი სახპეტოვი გამოცხადდა, მაგრამ—აბა თქვენგან არ მიკვირს, დამნაშავედ არ იცნო თავის-თავი, თუმცა მისის ჩვენებიდგან-კი დამტკიცდა სრული მისი დანაშაული და, როგორც ზევით ვამბობ, მოსამართლემაც თავისი განაჩენი განუმეორა, ისევ სამის თვით დატუსაღება მიუსაჯა.—ბ-ნმა სახპეტოვმა, განაცხადა, რომ ქალაქის სანიტარულ ექიმის მიერ დაწუნებულ ფქვილიდგან მე 127 ტომარა ვიყიდე აქაურ ფქვილის მოვაჭრის სიმონოვისაგან, რომ ეს ფქვილი ყიდვის დროს თვალითაც არ მინახავს, თუმცა დარწმუნებით ვიცი, რომ შიგ ბლომად იყო ქატო—ასე, ერთს ტომარაში 30 გირვანქა ქატო იქნებოდაო.

— სილა, ქვიშა არ ერია შიგ?—

— სილა არ შემინიშნავს და ქატო-კი ბლომად უნდა ყოფილიყო.

— იმ ფქვილისა პური გამოცხვებოდა?

— ყოვლად შეუძლებელია ამ გვარი ფქვილისა პური გამოცხვეს, თუ რომ შიგ სხვა კარგის ხარისხის ფქვილი არ გაერია. ცომი არ აღუვდება... ამისთანა პურს ჯარებისათვის, რა თქმა უნდა, არ მიიღებდნენ...

— რა იქმნა ეს 127 ტომარა ფქვილი, სად გაქრა?

— მე არც-კი შემიტყვია, სიმონოვი, იმის მომყიდველი, მოსულიყო ჩემს საწყობში და წაეღო. რა უყო, არ ვიცი.

— სიმონოვს ვინ მისცა ნება მერე შენის საწყობიდგან ისიც შენდა დაუკითხავად ფქვილის გატანის ნება?

— მოწმობა ჰქონდა აღებული ექიმებისაგან, რომ ფქვილი კარგიაო, და წაეღო.

— ის 49 ტომარა ფქვილი-ღა სად იყიდე, ან როგორ იყო?

— ის ვიყიდე მეორე ფქვილის ვაჭარ ტერ-ბაღდასარიანისაგან და ის-კი ნამდვილად მწარე იყო.

— სად არის ის 49 ტომარა?

— იქვე გახლავსთ, ჩემს საწყობში, დაბეჭდილია.

ამ მოკლედ მოყვანილ დიალოგიდგან ცხადად სჩანს, რომ თვით ბ-ნი სახპეტოვი ამტკიცებს თავისის თქვილის და იმისაგან გამომცხვარ პურის უვარგისობას, ამბობს, სიმონოვისაგან ნასყიდი ფქვილი არ ვარგოდა, იმისი პური არ გამოცხვებოდაო, თუ კი სხვა კარგს ფქვილს არ გავურევდითო, ჯარის-კაცი იმ პურს არ სჭამდაო, ერთის სიტყვით, დამნაშავე ვარო, მაგრამ ბ-ნ სიმონოვისაგან მოწვეული მკურნალები: ქალაქის მკურნალი ბ-ნი ელიავა და აქაურ არტილერიის უფროსი მკურნალი ბ-ნი მონტვიდ-მონტვიძე მოწმობას აძლევენ ამ სიმონოვს ბ-ნ სახპეტოვის დასაცველად—„სტყუის სასანიტარო ექიმი, სახპეტოვის საწყობში მის მიერ დაწუნებული ფქვილი მშვენიერია, შიგ არც სილაა, არც ქატო, პურიც მშვენიერი გამოცხვება იმისაგან ძ ნოყიერი პურიც იქნებაო... ერთის სიტყვით, მახლას!... სხვა რაღა გვეთქმის.

მოსამართლემ, იმას გარდა, რომ ბ-ნს სახპეტოვს ისევ სამის თვით დატუსაღება მიუსაჯა, განაჩენი დაადგინა, რომ ბ-ნს სიმონოვისა და ტერ-ბაღდასარიანცის, როგორც ცუდისა და უვარგისის ფქვილის მოვაჭრეების შესახებ, ცალკე საქმე იქმნას შედგენილი და პასუხის გებაში ისინიც მიეცნენ.

ამ საქმის თაობაზედ შემიძლიან შეგატყობინოთ შემდეგი: თუ გახსოვთ, პირველ განაჩენში მოსამართლემ დაადგინა, რომ ამ საქმეში მონაწილე ზოგიერთ თანამდებობის კაცთა უკანონო მოქმედების ამბავი ეცნობოს მრალმდებელსაო. არ ვიცი, ბ ნმა ბრალმდებელმა რა განკარგულება მოახდინა, ხოლო ბ-ნ ქუთაისის გუბერნატორის მინდობილობით აქაური მისი თანაშემწე, ბ-ნი სამოილოვი, იძიებს ამ საქმეს, რამდენადაც იგი შეეხება ბ-ნ ქალაქის ექიმს და აქაურ პოლიციის მოხელეთ. როგორც შევიტყეთ, გამოძიებით მტკიცდება თურმე ბ-ნ სასანიტარო ექიმის სრული კანონიერი მოქმედება.

ბათუმელი ჩიორა

მადლობას ვუცხადებთ-რა ბათუმელს ჩიორას ამ ცნობის მოწოდებისათვის, უნდა ვთქვათ, რომ სრულიად მართლდება ყოველივე ჩვენგან ნათქვამი. როგორც ეტყობა, ამ ტრა-

---

რი, რომ ქართველი კათოლიკენი არა არსებობენო. მხოლოდ ვისის წყალობით? სომხის სამღვდელოებისა. ხშირად გვსმენია სომეხთაგან, რომ ქართველი-კათოლიკეები არა არსებობენო, მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გაგვიგია საფუძველი ამ გვარის აზრისა. ისტორია ხომ პირ-და-პირ გვეუბნება, რომ რომის ეკკლესია ძველადგანვე სცდილობდა თავისს მორწმუნეთა რიცხვის გამრავლებას საზოგადოდ აღმოსავლეთში და კერძოდ ქართველთა შორის და ამ აზრის მისახწევად საქართველოში ჰგზავნიდა მისსიონერებს, რომელთ მოქმედება-მეცადინეობასაც უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მე-XVII საუკუნიდამ იმათ ბევრი გააკათოლიკეს არამც თუ მარტო სომხები, არამედ ქართველებიც ტფილისსა, გურიასა, ქუთაისსა, სამეგრელოში და უფრო მომეტებულად ახალციხეში. (П. Іос. Кратк. ист. Груз. ц., стр. 127). მაშ რატომ ეხლა არ უნდა არსებობდნენ ის ქართველები, რომლების შესახებ ისტორია გვეუბნება, რომ იმათ კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღესო? მაშ თუ სომხებმა კათოლიკობა მიიღეს და ისევ სომხებად დარჩნენ ეროვნებით, რატომ ის ქართველები-კი ისევ ქართველებად არ უნდა დარჩენილიყვნენ, რომელთაც კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღეს? თუ ამის თქმა შეიძლება: „სომეხ-კათოლიკენი" (სომხები, რომელთაც კათოლიკობა მიუღიათ), „ქართველ-მაჰმადიანნი" (ქართველები, რომელთაც მაჰმადიანობა მიუღიათ), რატომ „ქართველ-კათოლიკები"-ს თქმა-კი არ შეიძლება იმ ქართველების შესახებ, რომელთაც კათოლიკობა მიუღიათ? მაშ სომეხმა რომ მართლ-მადიდებლობა მიიღოს, იგი რუსად გადიქცევა? ან ქართველად? ან ბერძნად? თუ ისევ სომხად დარჩება, მხოლოდ სარწმუნოება ექმნება შეცვლილი, ე. ი. გახდება მართლ-მადიდებელ სომხად. ისეა ქართველ კათოლიკეთა საქმეც: იმათ მხოლოდ სარწმუნოება აქვთ შეცვლილი, დანარჩენი საერო ნიშნები-კი ისევ ეტყობათ. შთამომავლობა-გვაროვნობა, ენა, ხასიათი, ზნე ჩვეულება, გარეგანი შეხედულობა, ყოველივე ქართული აქვთ, მხოლოდ სარწმუნოება-კი შეიცვალეს. როგორ? ისე რომ, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, ყველამ მიიღო დოღმატები დასავლეთის ეკკლესიისა, ამისათვის იწოდებიან კათოლიკეებად, მხოლოდ ტიბიკონი, ე. ი. გარეგანი წეს-რიგი ღვთის-მსახურებისა, მარხვები, ენა, დღესასწაულები და სხვ., ზოგმა მიიღო ისევ დასავლეთის ანუ რომის ეკკლესიისა (ესენი არიან ქართველ-კათოლიკეები „ლათინურის რიგისა", ანუ როგორც უწოდებენ „რომის კათოლიკენი"), ზოგმა შეირჩინა ისევ ქართული (ესენი არიან ქართველი კათოლიკეები „ქართულის რიგისა ანუ ტიბიკონისა") და ზოგმაც შემოიღო სომხური ტიბიკონი (ესენი არიან ქართველი კათოლიკეები სომხურის ტიბიკონისა).

სომხურის ტიბიკონის ქართველი კათოლიკენი არ უნდა ავრიოთ სომეხ-კათოლიკეებთან. პირველნი არიან ეროვნებით ქართველები, მხოლოდ მეორენი სომხები. იმათს ეროვნულს ნიშნებში სრული განსხვავებაა და თუ ორივენი ერთსა და იმავე საეკკლესიო წეს-რიგს მისდევენ, ეს იმას არა ჰნიშნავს, რომ ორივენი ერთსა და იმავე ტომს (სომხებს) ეკუთვნიან. ვინ იტყვის, მაგალითად, რომ გვარამაძე, მეფისაშვილი, გოკიელი, ბეხირგნიშვილი და სხ. ქართველები არ არიან? ვის გაუგონია, რომ „ძე"-ზედ და „შვილი"-ზედ სომხური გვარი ბოლოვდებოდეს და არა ქართული? ჩვენის აზრით, სომხები უარს ჰყოფენ ქართველ-კათოლიკეთა არსებობას ან იმისთვის, რომ ერთმანეთში ჰრევენ სარწმუნოებასა და ეროვნებას, ან კიდევ იმისთვის, რომ უნდათ „ქართველი კათოლიკენი ძალად გაასომხონ. ორივე შემთხვევაში შემცდარია იმათი აზრი: სარწმუნოებისა და ეროვნების არევა შეუძლებელია. ჩვენის აზრით, მართლ-მადიდებლობა ერთი საეროვნო ნიშანთაგანია ქართველის ერისა. გარდა ამ ნიშნისა, იმასვე აქვს კიდევ სხვა ეროვნული ნიშნები: ენა, ზნე-ჩვეულება, განსაკუთრებითი ეროვნულნი თვისებანი, გარეგანი შეხედულობა და სხ. ქართველების ერთმა ნაწილმა შეიცვალა ერთი თვისი საეროვნო ნიშანი—სარწმუნოება, მაგრამ ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ მან დანარჩენი ეროვნული ნიშნებიც შეიცვალა, რომ სრულიად დაჰკარგა თავისი ეროვნული სახე. ქართველ-კათოლიკეებს შეცვლილი აქვთ მხოლოდ სარწმუნოება, დანარჩენი ნიშნები-კი ეროვნებისა ისევ შერჩენილი აქვთ და რომელ კათოლიკეთაც ეს ქართული საეროვნო ნიშნები ცხადად ატყვიათ, ეს უტყუარი საბუთია იმათის ქართველობისა, იმათის ქართულის სისხლ-შთამომავლობისა და ამისათვის სრული უფლება გვაქვს, სომეხთ აზრის წინაამდეგ, ამგვარ კათოლიკეთ ვუწოდოთ ქართველ კათოლიკენი და არა სომეხ-კათოლიკენი. თუ განგებ ავრცელებენ სომხები ამგვარს აზრს, რომ უნდათ ქართველი კათოლიკენი გაასომხონ, ეს ხომ, ვგონებთ, ტყუილი აზრი და წადილი უნდა იყოს იმათის მხრივ. ესეც ხომ ეკკლესია-მონასტრები არ არის, რომ ძალით დაიჩემონ, ან ქართული წარწერანი ამოფხიკონ და სომხურად დააწერონ (როგორც ახალციხე-ახალქალაქის მხარეში სჩადიან). უსულო საგანი თუ ვერ გაუწევს იმათს საქციელს წინააღმდეგობას და ვერ ეტყვის, მე ქართველთ ხელისა და ჭკუა-გონების ქმნილება ვარო და ამისათვის უფლება არა გაქვს ჩემი დაჩემებისა ან დანგრევისაო, ცოცხალი ადამიანი ხომ ეტყვის,—კაცო, რა გინდა, ძალად ხომ არ უნდა ამომგლიჯო ენა, ძალად ხომ არ უნდა ამოჰფხიკო ჩემში ეროვნული სახე, მე ქართველი ვყოფილვარ, ვარ და ქართველადვე დავრჩები. ვგონებთ, თვით ქართველი კათოლიკენი ამგვარს პასუხს მისცემენ ყველას, ვინც იმათს გადაბირებასა და ეროვნულის სახის შელახვას მოინდომებს.

ე. შილდელი

გი-კომედიას ჯერ დასასრული არა აქვს. ტყუილადა ჰგონია პატივცემულს ბათუმელს ჩიორას, რომ სახპეტოვი დაკმაყოფილდება ბათუმის მომრიგებელ-მოსამართლის განაჩენით ℔ 17 დეკემბრამდე ამ საქმეს ქუთაისის ოლქის სასამართლოში არ გადაიტანს. მესამე მოქმედებას სწორედ მაშინ მოეღება ბოლო. მეოთხე მოქმედება ამ ტრაგი-კომედიისა, რომელსაც ამ ბოლოს დროს უფრო დრამის ხასიათი ეძლევა, უნდა შეიცავდეს აწ უკვე ნიღაბ-ახდილისა და გამოაშკარავებულის სიმონოვისა და ტერ-ბაღდასარიანცის განსამართლება და ბ-ნ სამოილოვის გამონაძიები, რომელიც მკურნალთ ელიავასა და მონტვიდ-მონტვიჟის მოქმედებას ნათელს ჰყოფს.

მაინცა და-მაინც ეხლა უკვე საკმაოდ გამოირკვა პიესის მსვლელობა. მეხუთე მოქმედებაში უეჭველია აპოთეოზი იქნება ბ ნ საქალაქო და სამხედრო მკურნალთა სახელის უკვდავსაყოფელადა და სადიდებლად, რომელთათვისაც ზედ გამოჭრილია სახარების სიტყვები: „საქმემან თქვენმან გამოგაჩინოს თქვენაო“!..

ჩიორა

# რუსეთი

—

უმაღლესს დედათა სამკურნალო ინსტიტუტის მთავრობას შუამდგომლობა დაუწყია საერო განათლების სამინისტროს წინაშე, რომ ნება მოგვეცით მომავალ წლიდგან ინსტიტუტში ტრიგონომეტრიისა და ზოგიერთ მატემატიკურ საგნების სწავლება შემოვიღოთო. ამიტომ ინსტიტუტის მთავრობა საჭიროდ სცნობს ინსტიტუტში შემსვლელნი გამოიცადნონ ხოლმე ალგებრისა და გეომეტრიის ცოდნაში ისევე, როგორც სავაჟო გიმნაზიებში ასწავლიან ამ საგნებსაო.

— ამ დღეებში უმართებელესმა სენატმა განმარტა, რომ იჯარით აღებულ მამულზედ აგებული შენობები არ ჩაითვლება სამამა-პაპეულო ქონებადაო.

— ამ დღეებში მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა მოილაპარაკოს რუსეთში გავრცელებულ ფილოქსერასთან ბრძოლის შესახებ. კომისიას პირველი კრება ჰქონდა 18 ნოემბერს.

— სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტთან ამ დღეებში განსაკუთრებული კომისია დაარსდა, რომელმაც უნდა გადაათვალიეროს და შეიმუშავოს წესდებანი შაქრის წარმოების შესახებ. კომისიაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულნი არიან შაქრის მწარმოებელთა წარმომადგენლებიც.

— ფოსტა-ტელეგრაფის მთავარი გამგეობა ამ ჟამად იმ პროექტის შემუშავებას შესდგომია, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ საჭიროა მეტი ჯამაგირი ეძლეოდეთ, ვიდრე დღემდის ეძლევათო. განზრახვა აქვთ ზოგიერთ თანამდებობას სახელი შეუცვალონ და მოხელეთათვის ახალი ტანთ-საცმელი შემოიღონ. ეს ცვლილებანი შემოღებულ იქმნება სამის წლის განმავლობაში.

— საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოებას განზრახვა აქვს ამ ზამთარს საბაღოსნო საჯარო კურსები დააარსოს ქ. პეტერბურგში.

# უცხოეთი

—

**ავსტრია.** 8 ნოემბერს ავსტრი-უნგრეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა გრაფ გალუხოვსკიმ ვენგრიის დელეგატთა კომისიას წაუკითხა თავისი სიტყვა სახელმწიფოს გარეშე პოლიტიკის შესახებ. გრაფმა გალუხოვსკიმ უმთავრესი ყურადღება ორს საგანს მიაქცია: პირველი—ავსტრი-უნგრეთსა და რუსეთის ურთი-ერთ შორის დამოკიდებულებას და მეორე—იმ მეტოქეობას, რომელსაც ავსტრი-უნგრეთსა და საზოგადოდ ევროპას ამერიკის წარმოება და ვაჭრობა უწევს. პირველი საგნის შესახებ მინისტრმა სთქვა, რომ მას შემდეგ რაც იმპერატორი ფრანც-იოსები პეტერბურგში იყო, ყოველგვარი უთანხმოება რუსეთსა და ავსტრი უნგრეთს შორის ბალკანეთის გამო მოისპოო, გალუხოვსკის სიტყვით, რუსეთი დიდის ყურადღებით ადევნებს თვალ ყურს ბალკანეთის სახელმწიფოთა წარმატება-განვითარებას და სრულებით არ არის მოწადინებული თავის სახელმწიფოს სამხრეთის საზღვრების გაფართოებას. როგორც ავსტრი-უნგრეთი, ისე რუსეთი ამ ჟამად მოწადინებულია ბალკანეთში მშვიდობიანობის დამყარებას და იქაურ სახელმწიფოთა შორის ყოველგვარ უთანხმოების მოსპობასაო. მეორე საგანი, როგორც უკვე ვსთქვით, ამერიკის ვაჭრობა-მრეწველობის მეტოქეობას შეეხებოდა. გრაფ გალუხოვსკის სიტყვით, ამერიკის მრეწველობა-ვაჭრობა ამ ბოლოს დროს ისე გაძლიერდა, რომ ლამის მთელი ევროპის კეთილ-დღეობა ძირს დასცეს. ევროპა, განსაკუთრებით ავსტრი-უნგრეთი, სრულებით ველარ უწევენ მეტოქეობას ამერიკის მრეწველობასა. ამერიკიდგან მოსული საქონელი ორჯელ უფრო იაფად იყიდება იმ საქონელზედ, რომელიც თვით ავსტრიაში მზადდება. ამის გამო ავსტრი-უნგრელნი ათასობით ანებებენ თავს მრეწველობას და ულუკმაპუროდ რჩებიან. ასი და ათასი ოჯახი გაკოტრდა და კიდევ მრავალი გაკოტრდება ავსტრი-უნგრეთში, თუ როგორმე საქმეს ეხლავე არ შეუდექით და ეხლავე არ მოვაგვარეთ როგორმეო. მინისტრის აზრით, ამერიკასთან მარტო ავსტრი უნგრეთი ვერას გააწყობს, საჭიროა მთელი ევროპა შეერთდეს და ყველა სახელმწიფოებმა ერთად გაუწიონ მას ბრძოლა. რასაკვირველია, ეს ბრძოლა თოფითა და ჯარით არ მოხდება: საჭიროა ევროპის სახელმწიფოებმა ისეთი დიდი გადასახადი დაადონ ამერიკის ნაწარმოებს, რომ მათ მეტოქობა ველარ გაუწიონ ადგილობრივ მომზადებულ საქონელსაო. აი, სწორედ ამ აზრის განხორციელება მოუწადინებია ავსტრი-უნგრეთის გარეშე საქმეთა მინისტრს გრაფს გალუხოვსკის. მან კიდეც აღუთქვა დელეგატთა წევრებს, რომ ყოველ ღონეს ვიღონებ ევროპა დავიყოლიო და ასე, თუ ისე, მაგ სენს მალამო დავადოო.

# ნაკვესი

—

„პურ-ღვინო“-ში შევიდა ერთი იმერელი, დომითა და თევზით გამოძღა და შესძახა მოსამსახურეს:

— შენ კი, ბოშო, მეიტა ერთი სვირული ღვინო, თევზს ცურვა უნდაო.

იქვე ერთი დიპახნი კაჭარი იჯდა და ღორის მწვადებს შეექცეოდა. იმერლის ნათქვამი გაიგონა, ძალიან მოეწონა და იმანაც ხმა-მაღლა დაიძახა:

— შენ ეჭვი, უერუმსად, ერთი კახური მოიტა, ღორს უნდა დაგალეკვინოთ.

### გამოსადეგი ცნობა

ფერადი ზოლიანი ხალიჩები უნდა გაიწმინდოს მაუდისა ანუ ქსოვილის ნაჭრით. ხალიჩა სრულიად ახალს დაემსგავსება, ეს მაუდის ნაჭერი რომ ზეითუნის ზეთში დაასველოთ და ისე წაუსოთ კარგს პირზედ.

# ახალი წიგნები

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი, გამოცემული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ: „ყვავილთა შორის“, მოთხრობა მოხუცის მებაღისა, გადმოღებული სალომე შუბათელის მიერ. ამ თხზულების დედანი, ფრანგულს ენაზედ დაწერილი, დაჯილდოებულია პარისის სამეცნიერო აკადემიის მიერ. წიგნი საუცხოოდ არის დასურათებული 22 სურათით. ამ თხზულებაში საუბრობის სახით მოთხრობილია მცენარეთა და ზოგიერთ მწერთა, აგრეთვე ფრინველთა ცხოვრება და თვისება და ისეთის ხელოვნებით არის დაწერილი, რომ წამკითხველი, თუ ერთი დაიწყო, თვალს ველარ მოაშორებს, ვიდრე ბოლომდე არ ჩაიკითხავს. რასაკვირველია დიდად სასიამოვნოა, რომ მოზარდის თაობისათვის ამისთანა სასარგებლო წიგნები იბეჭდება. სასურველია, რომ იმ ისთანა წიგნები, როგორიც არის, მაგალითებრ, ეს „ყვავილთა შორის“ რუბაკინის „ბუნების საოცარი და მრისხანე მოვლენანი“, მისივე: „ამბავი ცხოველთა სამეფოსი“ და დეამიჩის „მოსწავლის დღიური“ ყოველმა ქართველმა ოჯახმა მოიპოვოს თავისის მოზარდის ყმაწვილებისათვის.

თხზულება „ყვავილთა შორის“ გადმოღებულია ქართულად ლამაზის, მდაბიო და ყოვლად გასაგების ენით, დაბეჭდილია სუფთად, შეიცავს 160-მდე გვერდს შუათანა ზომისას და ჰღირს ცხრა შაური, რაც ძვირად არ ჩაითვლება, თუ მხედველობაში მივიღეთ სიძვირე სურათების ამოჭრისა. რასაკვირველია, თუ პირველი გამოცემა სრულიად გაიყიდა და მეორე გამოსცეს, იგი გაცილებით უფრო იაფად ეღირება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

20 ნოემბერი.

**ბერლინი.** კაიზერს-ლაუტენიდგან იუწყებიან, რომ ჰამბურგის მახლობლად, ფრანკენგოლცის მაღაროებში გაზი აფეთქდაო. 30 კაცი მოკვდა, 40 დაიჭრა.

**ლონდონი.** ტყუილია ის ამბავი, ვითომ ინგლისსა და ჩინეთს მოლაპარაკება აქვთ გონკონგის მახლობლად მიწის შეძენის თაობაზედაო.

**პარიჟი.** ხვალ მინისტრთ ბჭობა ექმნებათ გენერალ ბილიოს 50 წლის სამსახურის შესრულების გამო. გენერალ ფრედერიქსმა გადასცა ბილიოს გენერალ ვანოვსკის მიერ გამოგზავნილი დეპეშა, რომელშიაც ვანოვსკი ულოცავს ბილიოს და უსურვებს დღეგრძელობასა და კეთილდღეობას. ბილიომ პასუხად დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც მადლობას უცხადებს. ასეთივე დეპეშები გაუგზავნეს ერთმანეთს გენერლებმა ბილიომ და ობრუჩევმა.

**ვენა.** „Neue Freie Presse“-ს პრაგადგან ატყობინებენ: „ჩეხებმა გაანადგურეს ნემეცთა და ებრაელთა მრავალი მაღაზია. საზოგადო დაწესებულებანი აღარა ჰმოქმედებენ. როდესაც ზემიხოვში ნემეცთა სახალხო სკოლას დაეცნენ, პოლიციელთა დარაჯს რევოლვერების სროლით მიეგებნენ. დარაჯებმა ბრბოს დაუწყეს სროლა და ერთი კაცი მძიმედ დასჭრეს. დაპატიმრებულია 21 კაცი. ჯარისა და ბრბოს შეტაკების დროს 3 კაცი მოჰკლეს, 38 მძიმედ დასჭრეს. უწესოება პილზენშიაც მოხდა“.

მინისტრთა დადგენილების თანახმად, გაუჩმა განკარგულება მოახდინა, რომ პრაგასა, კაროლინენტალსა, ჟიჟკოვსა, ვეინბერგსა და ზემიხოვში სამხედრო დროის წეს-რიგი იქმნას შემოღებული. საჭირო სამხედრო ღონისძიებანი იქმნება მიღებული მშვიდობიანობის დასამყარებლად.

**პარიჟი.** „Patrie“ ამბობს, რომ დრეიფუსის მეგობრები უკანასკნელს ჟამს სხვა ქაღალდებს გამოაქვეყნებენო.

**ბელგრადი.** იუწყებიან, რომ, როგორც ოფიციალურის ცნობებიდგანა სჩანს, ამბავი დიაკოვსა და მაკედონიაში მომხდარ უწესოებისა გაზვიადებულიაო. საქმე ადგილობრივ ამბებს შეეხება. ის ხმა, რომ ვითომ სერბიის ჯარი უნდა გადაიყვანონ, არა მართლდება.

**პარიჟი.** პრეობრაჟენის რაზმის მემუსიკეთა ხორო პეტერბურგში წავიდა. სადგურამდის მე-28 რაზმის მემუსიკეთა ხორომ გააცილა. საფრანგეთის მემუსიკენი ძმობას უცხადებდნენ რუსებს და მარსელიოსას მღეროდნენ. სადგურზედ პრეობრაჟენელებს რუსეთის საელჩოს წევრები გირო და ნარიშკინი დახვდნენ. წასვლის დროს რუსები „გაუმარჯოს რუსეთს“-ის ძახილით გააცილეს. იმათ თავისის მხრით „გაუმარჯოს საფრანგეთს“ უპასუხეს.

ესტერგაზიმ პელიეს წერილი გაუგზავნა, რომელშიაც ის უარსა ჰყოფს იმის შესახებ გავრცელებულ ცილისწამებას და თხოულობს, სამხედრო სასამართლომ გამასამართლოს, რომ უფრო კარგად იქმნას საქმე გამორკვეული და ჭეშმარიტება აღდგენილიო.

სჯულის საქმეთა მინისტრად სენატორი მიდარი იქმნა დანიშნული.

**პრაგა.** ქალაქში მშვიდობიანობა იქმნა დამყარებული. სამხედრო დარაჯები დადიან.

22 ნოემბერი

**პეტერბურგი.** 21 ნოემბერს ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა, პრინცესსა შლეზვიგ-გოლშტინელი და სამეფო სახლეულობის წევრნი დაესწრნენ მიხეილის მანეჟში საეკკლესიო პარადს, რომელიც გამართულ იქმნა სემენოვსკის პოლკისა, გვარდიის ცხენოსანთა არტილერიის 1-ს ბატარეისა და საზღვრის დარაჯთა რაზმისათვის. ამ დღეს დასახელებულ რაზმთა ტაძრის დღესასწაული იყო.

**სიმლა.** ინგლისელების რაზმმა შავმანის ოლქში 30 სოფელი გადასწვეს. მტერი კარგად იყო გამაგრებული და იქიდან ისროდა და უკან დახევის დროს ინგლისელებს აწუხებდა. ინგლისელთა ჯარში მოჰკლეს 1 ოფიცერი და 2 ჯარისკაცი და დასჭრეს 2 ოფიცერი და 14 ჯარისკაცი.

**პრაგა.** ქალაქში დარაჯები დადიან. ქუჩებში ხალხმა სიარული ისევ დაიწყო. მოსაშველებლად დაბარებული ჯარი მოვიდა.

კენიგრიცას, პილზენს და ბოდენბახში მცირეოდენი არეულობა მოახდინეს.

**ლონდონი.** შანჰაიდან ტელეგრაფით აცნობებენ „Times“-ს, რომ ჩინეთის მთავრობა სცდილობს მედიატორეთა სამართლით გადააწყვეტინოს ჰერმანელთა მოთხოვნილებათა გამო აღძრული კითხვა.

### „ივერიის“ ფოსტა

**ძს.—ს—ა. ბ—შვილს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**სოფ. ტოლა. თ. ძ. ბ—ნს.** რედაქციას თქვენგან ერგება 13 მან. 33 კაპ.

**გ. ბ—დბელს.** თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**გ. მიბ—შვილს.** თქვენ მიერ გამოგზავნილი „ნაკვესი“ არ დაიბეჭდება.

# განცხადებანი

Т-во БРОКАРЪ и К°.
ИЗОБРѢТАТЕЛИ
ПАРФЮМЕРІИ
„Персидская сирень“
О-де-колонъ.
Духи. ❖ Мыло.


Просимъ остерегаться поддѣлокъ.
(11—მ—6)